საქმე # 010330122900147557

საქართველოს უზენაესი სასამართლო
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №სსკ- 03-22 **28 ივლისი, 2022 წელი**
№სსკ-03-22 გ———ი **თბილისი**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატა
შემდეგი შემადგენლობა:
თავმჯდომარე: მერაბ გაბინაშვილი
მოსამართლეები: მამუკა ვასაძე (მომხსენებელი), ვლადიმერ კაკაბაძე

სხდომის მდივანი - ნ. თ

საქმის განხილვის ფორმა - ზეპირი განხილვა

საჩივრის ავტორი - მ. გ

მოწინააღმდეგე მხარე – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლები - დ.ა ნ.მ

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის გადაწყვეტილება

საჩივრის ავტორის მოთხოვნა - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის დაბრუნება ხელახლა განსახილველად

აღწერილობითი ნაწილი:

1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების შინაარსი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატას 2018 წლის 2 თებერვალს საჩივრით მომართა მ. გ-მა *(შემდეგში: საჩივრის ავტორი, განმცხადებელი, აპლიკანტი ან ყოფილი მოსამართლე),* რომელმაც მოითხოვა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის დაბრუნება გასაუბრების ეტაპზე ხელახლა განსახილველად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (შემდეგში: ორგანული კანონი) 35[4] მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

1.1 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2017 წლის ოქტომბერში მან მონაწილეობა მიიღო მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში. 2018 წლის 20 იანვარს აპლიკანტს პორტალით ეცნობა, რომ მისი განაცხადი ზემოხსენებულ ვაკანსიაზე უარყოფილი იყო კანონით დადგენილი კომპეტენტურობის კრიტერიუმების არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო.

1.2 განმცხადებლის განმარტებით, მან მიმართა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომ მისთვის გადაეცათ ჩატარებული გასაუბრების აუდიოჩანაწერი, შეფასების ფურცლები და მასში შეტანილი ინფორმაციის შედეგების ასლი, აგრეთვე, 2018 წლის 11 იანვარს ჩატარებული კენჭისყრის სხდომის ოქმი და გადაწყვეტილება აპლიკანტის თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე უარის თქმის შესახებ. მას აღნიშნული დოკუმენტები არ მიუღია, ამიტომ წინამდებარე განჩინების 1.1 პუნქტში მითითებული აპლიკანტის პორტალით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ასაჩივრებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებას.

2. საჩივრის მოთხოვნები და საფუძვლები:

საჩივრის ავტორის მოსაზრებით, აღნიშნულ კონკურსზე მისი შეფასება განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით დადგენილი პროცედურების დარღვევით, რამაც არსებითად იმოქმედა საბოლოო შედეგზე და საბჭომ მისი განცხადება უარყო. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მასთან გასაუბრება ორგანული კანონის 35[4] მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების დარღვევით ჩაატარა. კერძოდ, კონკურსის ჩატარებისას საბჭოს წევრების მნიშვნელოვანი ნაწილი მიკერძოებული იყო, მათი მიდგომა კი - დისკრიმინაციული. საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ

ორგანული კანონის 35-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, „კონკურსი ობიექტურობისა და თანასწორობის პრინციპების სრული დაცვით უნდა ჩატარდეს. კონკურსის ჩატარებისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მოსამართლეობის კანდიდატთა თანასწორობა, განურჩევლად რასისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, საზოგადოებაში მათი მდგომარეობისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა და სხვა გარემოებებისა“. იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოქმედებდა აღნიშნული მიზნების საწინაღმდეგოდ, რაც, აპლიკანტის მტკიცებით, დასტურდება შემდეგი ფაქტებით:

2.1 . საბჭოს წევრთა მიკერძოების შესახებ:

2.1.1 2018 წლის 11 იანვარს საბჭოს წევრმა ნ. ჯ-მა ტელეეთერში განაცხადა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა მოსამართლეობის კანდიდატთა კომპეტენტურობის კრიტერიუმების მახასიათებლები მიკერძოებულად შეაფასეს. კანდიდატთა ნაწილს კომპეტენტურობის პროცენტულობა მაქსიმალურ ჯამთან მიმართებით არაობიექტურად შეუმცირეს, რითაც სასურველი კანდიდატებისთვის კენჭისყრის დროს კონკურენციისგან დაცულობა უზრუნველყვეს;

2.1.2 საბჭოს წევრებმა არ გაითვალისწინეს, რომ მას დამთავრებული აქვს პრესტიჟული უნივერსიტეტი, აქვს სამოსამართლო პრაქტიკა, არის დოქტორანტი, მაღალი შეფასებებით ჩააბარა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, მის პროფესიონალიზმს რეკომენდაციას უწევენ საქართველოში ცნობილი პროფესორები და აკადემიკოსები, მოქმედი და ყოფილი მოსამართლეები, აგრეთვე - არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

2.2 საბჭოს წევრთა მიერ უფლებამოსილების გადამეტების შესახებ:

საბჭოს წევრები გასაუბრების დროს უფლებამოსილების გადამეტებით სვამდნენ დარგისთვის შეუთავსებელ კითხვებს, ცდილობდნენ, რომ კანდიდატის მიმართ უარყოფითი აზრი ჩამოყალიბებოდა საბჭოს იმ წევრებს, რომლებსაც შესაბამის სფეროში კვალიფიკაცია არ გააჩნდათ.

2.3 მომჩივნისადმი დისკრიმინაციული მოპყრობის შესახებ:

2.3.1 საჩივრის ავტორის მტკიცებით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დაარღვია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 2000 წლის 4 ნოემბრის მე-12 ოქმის პირველი მუხლი, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-2 მუხლი და საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი, რომლებითაც ყველა პირისთვის უზრუნველყოფილია დისკრიმინაციის აკრძალვა და კანონის წინაშე თანასწორობა.

2.3.2 საბჭოს წევრები მისი კომპეტენტურობის მახასიათებლების შემოწმებისას იყვნენ დისკრიმინაციულნი, რაც განპირობებული იყო იმით, რომ საჩივრის ავტორმა სხვა პირებთან ერთად საკონსტიტუციო სასამართლოში და ასევე, საერთო სასამართლოში, წარადგინა სარჩელი, რომლითაც ითხოვდა 2016 წელს ჩატარებულ ანალოგიურ

კონკურსში ვაკანტურ თანამდებობაზე არჩევის უფლების აღიარებას და მოსამართლის ვაკანსიაზე განწესებას.

3. ყოფილი მოსამართლის განმარტებით, ზემოაღწერილმა გარემოებებმა განაპირობეს, რომ მოსამართლედ განწესებაზე მის კანდიდატს კენჭი არ ეყარა.
4. განმცხადებელი წარმოდგენილი საჩივრის საკვალიფიკაციო პალატის მიერ განხილვის (განსჯადობა) საფუძვლად უთითებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[4], მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტს, რომლის თანახმად, განხილვის შედეგად უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატა იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: „მოსამართლეობის კანდიდატის მოსამართლის თანამდებობაზე განწესებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების თაობაზე“.
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 6 თებერვლის განჩინებით მ. გ–ს უარი ეთქვა საჩივრის წარმოებაში მიღებაზე.
6. მ. გ–მა ზემოაღნიშნული განჩინება გაასაჩივრა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში, რომელმაც 2022 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილებით დაადგინა ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის 6.1 მუხლის დარღვევა საქართველოს მხრიდან და სახელმწიფოს დაავალა არამატერიალური ზიანის და ხარჯების ანაზღაურება.
7. 2022 წლის 15 ივლისს მ. გ–მა, საქართველოს „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის“ 423-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატას და მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ამავე პალატის 2018 წლის 6 თებერვლის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.
8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის 2022 წლის 18 ივლისის განჩინებით მ. გ–ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.
9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის 2022 წლის 19 ივლისის განჩინებით მ. გ–ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ დაკმაყოფილდა. გაუქმდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის 2018 წლის 6 თებერვლის განჩინება და მოცემულ საქმეზე განახლდა საქმის წარმოება.
10. საჩივრის ავტორმა მხარი დაუჭირა მის მიერ წარმოდგენილ საჩივარს.

11. საბჭოს პოზიცია:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლებმა საჩივარი არ ცნეს და მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება. საკუთარი

პოზიცია შემდეგნაირად დაასაბუთეს:

11.1. მოსამართლეობის კანდიდატისათვის კენჭისყრის ეტაპზე უარის თქმის შესახებ საქათველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი ითვალისწინებს და აქცევს სამართლებრივ ჩარჩოებში, ადგენს გასაჩივრების ამომწურავ ჩამონათვალს, რასაც საჩივრის ავტორი უნდა დაეფუძნოს და დაასაბუთოს-კონკრეტულად რაში გამოიხატა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრის ან იუსტიციის საბჭოს, როგორც კოლეგიური ორგანოს მხრიდან „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული საფუძვლების დარღვევა. საჩივრის ავტორის მიერ დასახელებულია სამი ძირითადი საფუძველი. მიკერძოება, დისკრიმინაციული მიდგომა და კანონით მინიჭებული უფლებამოსილების გადამეტება. თუმცა, კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომელიც საჩივრის ავტორის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის საფუძველს შექმნიდა, არ იქნა წარმოდგენილი, ისევე როგორც კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები მიკერძოებასა და უფლებამოსილების გადამატების შესახებ. საჩივრის ავტორის მოსაზრება ემყარება ზოგად არგუმენტებს და აქვს შეფასებითი ხასიათი.

11.2 მოსამართლეობის კანდიდატი მის მიმართ მიკერძოებისა და დისკრიმინაციის ნაწილში აპელირებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოფილი წევრის - ნ. ჯ-ის მიერ ტელეეთერებში გაკეთებულ განცხადებაზე. სადაც ის აღნიშნავდა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა მოსამართლეობის კანდიდატთა კომპეტენტურობის კრიტერიუმების მახასიათებლები მიკერძოებულად შეაფასეს. კანდიდატთა ნაწილს კომპეტენტურობის პროცენტულობა მაქსიმალურ ჯამთან მიმართებით არაობიექტურად შეუმცირეს, რითაც სასურველი კანდიდატებისთვის კენჭისყრის დროს კონკურენციისგან დაცულობა უზრუნველყვეს. ამ შემთხვევაში ეს არის კონკრეტული საბჭოს წევრის სუბიექტური მოსაზრება, რომელიც რაიმე კონკრეტული ფაქტობრივი და არც სამართლებრივი საფუძვლებით არ იყო განპირობებული, აღნიშნული მოსაზრება სუბიექტურა, რომელიც საჩივრის საფუძვლად ვერ გამოდგება. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, დამოუკიდებლად ავსებენ შეფასებების ფურცელს, თითოეული შეფასების ფურცელი იყო კონფიდენციალური, სადაც საბჭოს წევრის იდენტიფიცირება იყო გამორიცხული. ამდენად აღნიშნული განცხადება არ შეიძლება გამოყენებული იყოს საჩივრის რაიმე საფუძვლად, მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე.

11.3 მ. გ–ის აპელირება, აღნიშნულ კონკურსში ერთ-ერთ გამარჯვებულ კანდიდატზე, რომელმაც განიხილა მისი საჩივარი და პირველი ინსტანციის სასამართლოს

გადაწყვეტილება ძალაში დატოვა ბუნდოვანია.

11.4 მითითება იმის შესახებ, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამი წევრი იყო გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლე და მათი შეფასება არ იქნებოდა სრულყოფილი-დაუსაბუთებელია, ვინაიდან „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი ითვალისწინებდა გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის საბჭოს წევრად არჩევას, თუ მათ ჰქონდათ შესაბამისი გამოცდილება და თითოეული ეს კანდიდატი აკმაყოფილებდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ამდენად, მარტოოდენ იმის მითითება, რომ გამოსაცდელი ვადით დანიშნული მოსამართლის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არჩევა, შეიძლება წარმოადგენდეს მოსამართლის კანდიდატის მიმართ მიკერძოების, დისკრიმინაციის ან უფლებამოსილების გადამეტების თვითკმარ საფუძველს ვერ იქნება მიჩნეული არგუმენტად.

11.5 საჩივრის ავტორი მიუთითებს საკონსტიტუციო სასამართლოში მის მიერ წარდგენილ სარჩელზე და აღნიშნავს, რომ საბჭოს წევრთა მიერ მიკერძოება გამოიხატა იმით, რომ იგი დასაჯეს საკონსტიტუციო სასამართლოში აღძრული სარჩელის გამო. გასათვალისწინებელია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის წარდგენის უფლება ძირითად უფლებებთან მიმართებით აქვს ნებისმიერ პირს, ასევე სასამართლოს აქვს უფლება წარდგინებით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, კონკრეტული ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე და არაერთი კონსტიტუციური სარჩელით მიუმართავთ მოსამართლეებს, რომელთა დიდი ნაწილი დაკმაყოფილებულა. ასევე არის არაერთი პრეცედენტი, რომ მოსამართლეების მიერ თუნდაც საერთო სასამართლოების შესახებ კანონის ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე ყოფილა სარჩელი შეტანილი საკონსტიტუციო სასამართლოში. მაგალითად ო. ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, რომელიც ეხებოდა გამოსაცდელი ვადით დანიშნულ მოსამართლედ განწესების კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხს, რაც საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების საფუძველი გახდა. გასაუბრების ეტაპზე რაიმე კითხვა, პირდაპირი ან არაპირდაპირი მინიშნებაც კი საჩივრის ავტორის კონსტიტუციურ სარჩელთან დაკავშირებით არ ყოფილა დასმული, საბჭოს არცერთ წევრს არ გამოუხატავს რაიმე დაინტერესება აღნიშნულ კონსტიტუციურ სარჩელთან დაკავშირებით, ამდენად, მითითებული გარემოება არ შეიძლება გახდეს მიკერძოების ან დისკრიმინაციის საფუძველი.

11.6 ორგანული კანონი დეტალურად არეგულირებს გასაუბრების პროცესში როგორც მოსამართლის კანდიდატის, ასევე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის მონაწილეობას კანდიდატთა შესახებ ინფორმაციის მოძიების თვალსაზრისით, გასათვალისწინებელია, რომ ორგანული კანონი სხვა კრიტერიუმებს ადგენს

მოსამართლის გამოცდილების მქონე და არმქონე კანდიდატებთან მიმართებით, გაწერილია თითოეული კომპეტენტურობის მახასიათებლები და ამ მახასიათებლების განმარტებები, თუ რა არის ის ძირითადი საფუძვლები, რაც უნდა იქნეს გათვალისწინებული ამ მახასიათებლების შეფასების პროცესში. სწორედ აღნიშნულით ხელმძღვანელობს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, კომუნიკაციის უნარის, სამართლის ნორმების ცოდნისა და დასაბუთების უნარის შეფასებისას. მათ შორის მნიშვნელოვანია გასაუბრება, რომელიც ცოცხალი პროცესია და საკმაოდ ანგარიშგასაწევი დაოქმებული მტკიცებულება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იუსტიციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არის „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში და არ არსებობს მისი გაუქმების არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან საჩივრის ავტორმა ვერ წარმოადგინა დასაბუთებული მსჯელობა, იგი მიუთითებს მხოლოდ თავის სუბიექტურ წარმოდგენებსა და შეხედულებებზე, კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების მითითების გარეშე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივარი არის დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

12. საჩივრის დასაშვებობის საკითხი:

12.1 საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის 2022 წლის 19 ივლისის განჩინებით მ. გ–ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ დაკმაყოფილდა. გაუქმდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის 2018 წლის 6 თებერვლის განჩინება, მოცემულ საქმეზე განახლდა საქმის წარმოება და დაინიშნა არსებითი განხილვა.

12.2. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35^4 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, მოსამართლის კანდიდატს უფლება აქვს მოსამართლის თანამდებობაზე განწესებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება გაასაჩივროს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში, თუ მიაჩნია, რომ:

ა) კონკურსის ჩატარებისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი მიკერძოებული იყო;

ბ) კონკურსის ჩატარებისას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის მიდგომა დისკრიმინაციული იყო;

გ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა გადაამეტეს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას, რის შედეგადაც დაირღვა მოსამართლეობის კანდიდატის უფლებები, ან საფრთხე შეექმნა სასამართლოს დამოუკიდებლობას;

დ) ინფორმაცია, რომელიც საფუძვლად დაედო ამ გადაწყვეტილებას, არსებითად მცდარია, რის დასადასტურებლადაც მოსამართლეობის კანდიდატმა შესაბამისი მტკიცებულებები წარადგინა;

ე) კონკურსი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის დარღვევით განხორციელდა, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საბოლოო შედეგზე.

12.3. საჩივრის შინაარსიდან ირკვევა, რომ მ. გ–მა საკუთარი მოთხოვნები, ფაქტობრივად, დააფუძნა ორგანული კანონის 35[4] მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ა“, ,,ბ“ და ,,გ“ ქვეპუნქტებს, მიუთითა რა, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ მისი კომპეტენტურობის მახასიათებლები არაობიექტურად და უარყოფითად მიკერძოებულად შეფასდა, რაც გამოიხატა კანდიდატთა ნაწილის მიმართ კომპეტენტურობის პროცენტულობის მაქსიმალურ ჯამთან მიმართებით არაობიექტურად შემცირებაში, რითაც სასურველი კანდიდატებისთვის კენჭისყრის დროს კონკურენციისგან დაცულობა უზრუნველყოფილიყო. ასევე საბჭოს წევრებმა გადაამეტეს უფლებამოსილებას, ვინაიდან გასაუბრების დროს უფლებამოსილების გადამეტებით სვამდნენ დარგისთვის შეუთავსებელ კითხვებს, მათი მიდგომა დისკრიმინაციული იყო იმ საფუძვლით, რომ საჩივრის ავტორს სხვა პირებთან ერთად საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოში წარდგენილი ჰქონდა სარჩელი, რომლითაც ითხოვდა 2016 წელს ჩატარებულ ანალოგიურ კონკურსში ვაკანტურ თანამდებობაზე არჩევის უფლების აღიარებას და მოსამართლის ვაკანსიაზე განწესებას.

13. მომჩივნის შუამდგომლობის განხილვა:

13.1 პალატას 2022 წლის 28 ივლისის სხდომაზე გამოცხადებულმა მ. გ–მა საჩივრის არსებითად განხილვამდე წარუდგინა შუამდგომლობა: წარმოადგინა დოქტორის დიპლომის ასლი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადამიანური კაპიტალის მართვის დეპარტამენტის უფროსის ხ. ჩ-ის მიერ გაცემული ცნობა და მოითხოვა მათი დართვა საქმეზე.

13.2 საკვალიფიკაციო პალატის 2022 წლის 28 ივლისის საოქმო განჩინებით შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, საქმეს დაერთო მ. გ–ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები.

14. საჩივრის არსებითი განხილვა:

პალატამ, მხარეთა მოსაზრებების მოსმენის, საქმეში წარმოდგენილი მასალების შესწავლისა და გაანალიზების შედეგად, დაასკვნა, რომ მ. გ–ის საჩივარი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის გადაწყვეტილების

გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს. პალატამ ცალ-ცალკე იმსჯელა მომჩივნის მიერ წარმოდგენილ საფუძვლებთან დაკავშირებით.

14.1 საბჭოს წევრთა მიკერძოების შესახებ:

14.1.1 მოსამართლის თანამდებობის დაკავების წესი განსაზღვრულია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლით, რომლის მე-9 პუნქტი ადგენს, რომ მოსამართლეობის კანდიდატები, რომელთაც სამოსამართლო საქმიანობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება აქვთ, ფასდებიან ამ კონონის 36^1 მუხლის პირველი და მე - 2 პუნქტებისა 36^2, 36^3, და 36^4 მუხლით გათვალისწინებულ საქმეთა შესწავლის, ქულათა შეფასების სისტემის და გასაუბრების დასრულების შემდეგ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ დამოუკიდებლად შევსებული ფორმების საფუძველზე.

14.1.2 სასამართლო ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კონკურსი ჩატარდა მიკერძოებით, რაც გამოიხატებოდა კომპეტენტურობის პროცენტულობის მაქსიმალურ ჯამთან მიმართებით არაობიექტურად შემცირებაში, ასევე საბჭოს წევრთა მიერ დაწერილ ქულათა სხვაობაში, რაც ზოგიერთ შემთხვევაში 40 ქულითაც განსხვავდებოდა. სასამართლო ასევე არ ეთანხმება მითითებას, რომ საბჭომ არ გაითვალისწინა ის, რომ მომჩივანმა დაამთავრა პრესტიჟული უნივერსიტეტი, აქვს სამოსამართლო პრაქტიკა, არის დოქტორანტი, მაღალი შეფასებებით ჩააბარა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, მის პროფესიონალიზმს რეკომენდაციას უწევენ საქართველოში ცნობილი პროფესორები და აკადემიკოსები, მოქმედი და ყოფილი მოსამართლეები, აგრეთვე - არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელები. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36^6 მუხლი ადგენს მოსამართლის საქმიანობის შეფასების კრიტერიუმების მახასიათებლებს, რომლის შესაბამისადაც, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ამავე კანონის 34^4 მუხლში გაწერილი პროცედურით და ამავე მუხლის მე-8 ქვეპუნქტის შესაბამისად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით დადგენილ ქულათა ქვედა და ზედა ზღვარით, უფლებამოსილებისა და დისკრეციის ფარგლებში აფასებს კანდიდატს და ავსებს შეფასების ფურცელს. აღსანიშნავია, რომ თითოეული ადამიანი არის ინდივიდი, შესაბამისად ობიექტური რეალობის აღქმის ხარისხიც სხვადასხვა ადამიანში შეიძლება განსხვავებული იყოს ასევე განსხვავებულად იყოს აღქმული ვითარების შეფასების უნარიც, ამიტომ მომჩივნის და საბჭოს წევრთა აღქმები, შეფასებები, შესაძლოა არ დაემთხვეს ერთმანეთს, ისევე, როგორც საბჭოს წევრთა შეფასებები. პალატა აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორმა ვერც ერთი მტკიცებულება და კონკრეტული ფაქტი ვერ დაასახელა, რომელიც საბჭოს რომელიმე წევრის მხრიდან მის მიმართ მიკერძოების ფაქტს დაადასტურებდა, შესაბამისად, აპელირება იმასთან

დაკავშირებით, რომ საბჭოს წევრთა შეფასება მიკერძოებული, იყო უსაფუძვლოა.

14.1.3 მომჩივნის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კონკურსი ჩატარდა ობიექტურობისა და თანასწორობის პრინციპის დარღვევით, რაც გამოიხატა ხელოვნურად კომპეტენტურობის პროცენტულობის მაქსიმალურ ჯამთან მიმართებით არაობიექტურ შემცირებაში სასამართლო ვერ გაიზიარებს, ვინაიდან კანდიდატი ვერ ასახელებს თანასწორობის პრინციპის დარღვევის და მიკერძოების კონკრეტულ ფაქტს. ასევე, ვერ ასახელებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს, რომლის ქმედებაც შეიძლება მიკერძოებად შეფასებულიყო. მხოლოდ ის მოსაზრება, რომ იგი არ დაინიშნა მოსამართლედ, რაც ადასტურებს არაობიექტურობის, თანასწორობის პრინციპის დარღვევის და მიკერძოების ფაქტს, ვერ გახდება მიკერძოების, ობიექტურობის და თანასწორობის პრინციპის დარღვევის დამადასტურებელი; ამდენად, აღნიშნულ გარემოებაზე აპელირება ცალსახად უსაფუძვლოა და ვერ იქნება გაზიარებული.

14.1.4 აღნიშნული მსჯელობიდან და საქმის მასალების სრული, ყოველმხრივი და ობიექტური ანალიზიდან გამომდინარე, არ დგინდება საბჭოს წევრთა მიერ თანასწორობის პრინციპის დარღვევა და მიკერძოებული მიდგომა, მომჩივანს კი არ განუხორციელებია მის მიერ მითითებული გარემოებების არსებობის შესახებ არგუმენტირებული მტკიცება, არ წარმოუდგენია მტკიცებულებები ამ გარემოებათა დასადასტურებლად, რის გამოც პალატა ვერ მიიჩნევს მომჩივნის მოსაზრებებს დასაბუთებულად.

14.2 საბჭოს წევრთა მიერ უფლებამოსილების გადამეტების შესახებ:

14.2.1 მ. გ–მა საბჭოს წევრთა მიერ უფლებამოსილების გადამეტების არსებობის დამადასტურებლად მიუთითა, რომ საბჭოს წევრები გასაუბრების დროს უფლებამოსილების გადამეტებით სვამდნენ დარგისთვის შეუთავსებელ კითხვებს. პალატა ასევე ვერ გაიზიარებს აღნიშნულ მოსაზრებას, ვინაიდან გასაუბრების აუდიოჩანაწერით დგინდება, რომ გასაუბრება გაგრძელდა 25 წუთი, კანდიდატს კითხვები დაესვა ადმინისტრაციული სამართლიდან, რაც შესაბამისობაში იყო დარგთან, რომელზეც საჩივრის ავტორს განაცხადი ჰქონდა გაკეთებული. მ. გ–ის მოსაზრებით, სწორად უპასუხა თუ არა მან გასაუბრების დროს საბჭოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს, მისთვის მნიშვნელობა არ აქვს და თვლის, რომ გასაუბრების ფორმატი და საბჭოს წევრთა შეფასებები გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით, არ წარმოადგენს განმსაზღვრელ ფაქტორს კანდიდატის ობიექტური შეფასებისთვის. შესაბამისად, მომჩივნის მტკიცება საბჭოს წევრთა მიერ უფლებამოსილების გადამეტების შესახებ არ დასტურდება საქმის მასალებიდან და არის უსაფუძვლო.

14.3 მომჩივნისადმი დისკრიმინაციული მოპყრობის შესახებ:

14.3.1 მ. გ–მა განაცხადა, რომ დისკრიმინაციული მიდგომა მის მიმართ გამოწვეული იყო იმით, რომ საჩივრის ავტორმა სხვა პირებთან ერთად საკონსტიტუციო

სასამართლოსა და საერთო სასამართლოში წარადგინა სარჩელი, რომლითაც ითხოვდა 2016 წელს ჩატარებულ ანალოგიურ კონკურსში ვაკანტურ თანამდებობაზე არჩევის უფლების აღიარებას და მოსამართლის ვაკანსიაზე განწესებას.

14.3.2. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა, პირობების შექმნა ან პრაქტიკა, რომელიც პირს გარკვეული ნიშნით არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, თუ ამგვარი ქმედება არ ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და არ არის აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები არათანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

14.3.3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია, თუ მას არ აქვს გონივრული და ობიექტური გამართლება, ანუ, თუ არ აქვს ლეგიტიმური მიზანი, ან თუ არ არსებობს გონივრული თანაბარზომიერება ლეგიტიმურ მიზანსა და მიზნის მისაღწევად გამოყენებულ საშუალებას შორის (მაგალითად, იხ: Mizzi v. Malta, №26111/02; Petrovic v. Austria, №20458/92 და ა.შ.).

14.3.4. ამდენად, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისათვის უნდა არსებობდეს: დაცული სფერო - უფლება, რომელშიც ხდება ჩარევა; კომპარატორი - ანალოგიურ ან არსებითად მსგავს ურთიერთობაში მყოფი პირი და ამ ორ პირს შორის მთავარი განსხვავება წარმოადგენს ე.წ დაცულ სფეროს.

14.3.5. რაც შეეხება მტკიცების ტვირთის განაწილებას:

ა) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, მას შემდეგ, რაც მომჩივანი დაადასტურებს განსხვავებული მოპყრობის არსებობას, უკვე მთავრობის ვალდებულებაა, დაამტკიცოს, რომ იგი გამართლებული გახლდათ (მაგალითისათვის, იხ: Chassagnou and Others v. France [GC], №25088/94, №28331/95);

ბ) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[3] მუხლის თანახმად, სარჩელის აღძვრისას პირმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც მოპასუხეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა.

14.3.6. საჩივრის ავტორმა განაცხადა, რომ გასაუბრებისას რაიმე ქმედება, რაც იმ მომენტში მის მიმართ უარყოფით დისკრიმინაციულ დამოკიდებულებაზე მიუთითებდა - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს არ გამოუხატავთ, თუმცა საბჭოს წევრებისათვის მის მიერ წარდგენილი საკონსტიტუციო სარჩელის მიუღებლობა დასტურდება იმით, რომ იგი დასაჯეს და შედეგი, რომელიც დადაგა,

იგი არ განწესდა მოსამართლედ - დისკრიმინაციის მოპყრობას ადასტურებს. აღნიშნული ვერ იქნება გაზიარებული საკვალიფიკაციო პალატის მიერ, ვინაიდან საკონსტიტუციო სარჩელით არაერთი სასამართლოს მოსამართლეს მიუმართავს, რაც არ გამხდარა და ვერც გახდებოდა მათი დასჯის საფუძველი, ასევე, პალატა აღნიშნავს, რომ გასაუბრების ჩანაწერის მიხედვით, საბჭოს წევრების მხრიდან საკონსტიტუციო სარჩელთან დაკავშირებით რაიმე კითხვა ან მოსაზრება არ გამოთქმულა. შესაბამისად, მხოლოდ საკონსტიტუციო სარჩელის არსებობა ვერ იქნება დამადასტურებელი მის მიმართ დისკრიმინაციული მიდგომისა. ასევე მ.გ–ის მისაზრებით, მისდამი დისკრიმინაციული მოპყრობა გამოიხატება იმ ფაქტით, რომ მას იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მოსამართლედ დანიშვნის კონკურსის კენჭისყრის ეტაპზე გადაყვანაზე უთხრა უარი, მაშინ როდესაც ზოგიერთი კანდიდატი გადაყვანილ იქნა აღნიშნულ ეტაპზე. ცალსახაა, რომ მომჩივანმა ვერ წარადგინა და ვერ დაამტკიცა ვერც ერთი ფაქტი, რომელიც მის მიმართ რაიმე სახით დისკრიმინაციულ მიდგომას დაადასტურებდა, შესაბამისად, პალატის მიერ ვერ იქნება გაზიარებული მომჩივნის მოსაზრება, რომ მისი მოსამართლედ არ დანიშვნა განპირობებულია მისდამი დისკრიმინაციული მიდგომით.

15.1. პალატის შემაჯამებელი დასკვნა:

15.1.1. ორგანული კანონის 35[4] მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საკვალიფიკაციო პალატა იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: ა) მოსამართლეობის კანდიდატის მოსამართლის თანამდებობაზე განწესებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე; ან - ბ) მოსამართლეობის კანდიდატის მოსამართლის თანამდებობაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების თაობაზე.

15.1.2. საქმის განხილვის შედეგად, მომჩივნისადმი საბჭოს წევრთა მიუკერძოებლობის პრინციპის, დისკრიმინაციული მოპყრობისა და საბჭოს წევრთა მიერ უფლებამოსილების გადამეტების დარღვევების გარემოებათა არსებობა არ დადასტურებულა; შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ მომჩივნის მოთხოვნა დაუსაბუთებელია და ვერ დაკმაყოფილდება.

15.1.3. შესაბამისად, პალატამ, იხელმძღვანელა რა ორგანული კანონის 35, 35[4], 36[1], 36[2], 36[3] და 36[4] მუხლებით, მიიღო გადაწყვეტილება საბჭოს გასაჩივრებული განკარგულების უცვლელად დატოვების თაობაზე.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატამ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[6] მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მ. გ–ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის გადაწყვეტილება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე: **მერაბ გაბინაშვილი**

მოსამართლეები: **მამუკა ვასაძე**

ვლადიმერ კაკაბაძე